თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №176004

ნომერი: AR152640

თარიღი : 21.05.2012

გაცემის თარიღი : 21.05.2012

გაცნობის თარიღი : 21.05.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ჯიხვაშვილი პ/ნ 01024005562
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 30

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ფლორეალი" კოდი: 216338611

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა ქ. თბილისში, ძველი თბილისისი რაიონში, რუსთაველის გამზ. N16–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის განთავსების საკითხი და არქიტექტურული თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია სამუშაოები განხორციელდეს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N16-ში არსებული შენობა მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების დამცავ ზონაში, ამასთან, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების შესაბამისად რუსთაველის გამზ. N16-ში არსებული შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს.

იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს უძრავ ძეგლზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ნებართვის გაცემის საკითხი, განაცხადი დარეგისტრირებული უნდა იქნეს შემდეგ ნომენკლატურაში:

ელექტრონული განაცხადები > მშენებლობის ნებართვა > კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები > მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები > ქმედებები: ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები > მშენებლობის ნებართვა

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში რეგისტრაციის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.